

პაროლდ პინტერი

**მტვერი
მტვრადვე
მიიქცევი**

ანტონიას

ინგლისურიდან თარგმნა
ზაზა ქილაძემ

მოქმედი პირები

დეკლინი

რეპეკა

ორივე ორმოცს გადაცილებული

ღრმ: ახლანდელი

სახლი ქალაქგარეთ.

ოთახი პირველ სართულზე. დიდი ფანჯარა.

ფანჯრიდან მოჩანს ბაღი.

ორი სავარტელი. ორი ლამპა.

ნაშუადღევი. ზაფხული.

პიესის მსვლელობისას ოთახში ნელნელა ბნელდება. ლამპების შუქი კი ძლიერდება.

პიესის ბოლოსკენ ოთახიც და ბაღიც მხოლოდ ბუნდოვნად იკვეთება. ლამპების შუქი უკვე საგრძნობლად მატულობს, თუმცა ოთახი მაინც ბინდში რჩება.

დეკლინს ჭიქა უჭირავს და ფეხზე დგას. რებეკა ზის.

სიჩუმე.

რეპეკა: ხო... მაგალითად... თავზე დამადგებოდა და სახესთან მუშტს მომიტანდა. მერე მეორე ხელს ყელზე მომიკიდებდა, მომიჭერდა და თავს უკან გადამინევდა. მუშტს... ტუჩებზე მომადებდა. და აკოცეო, მეუბნებოდა...

დეკლინი: კოცნიდი?

რეპეკა: აბა რა! მუშტზე ვკოცნიდი. სახსრებზე. მერე ხელს შლიდა და ხელისგულს მაფარებდა პირზე... საკოცნელად... მეც ვკოცნიდი.

პაუზა.

- მერე ველაპარაკებოდი.

დეკლინი: რაზე ელაპარაკებოდი? რას ეუბნებოდი?

პაუზა.

რეპეკა: ყელზე ხელი მომიჭირე-მეთქი. ტუჩებზე ხელისგული მქონდა აფარებული და ხელისგულში ვჭურჩულედი, თან ვკოცნიდი, ოღონდ ჩემი ხმა მაინც ესმოდა, ხელიდან ესმოდა, ხელზე გრძნობდა ჩემს ხმას, ხელისგულიდან ისმენდა.

სიჩუმე.

დეკლინი: მერე? გიჭერდა ყელზე ხელს?

რეპეკა: რა თქმა უნდა. მიჭერდა. მიჭერდა. დიდხანს, მსუბუქად, ძალიან მსუბუქად, ოდნავ. იცი, როგორ მალმერთებდა!

დეკლინი: გალმერთებდა?

პაუზა.

- რას ქვია, გალმერთებდა? რას გულისხმობ?

პაუზა.

- ყელზე ხელს მაგრად არ გიჭერდა? მაგის თქმა გინდა?

რეპეკა: არა.

დევილინი: აბა? აბა რას ამბობ?

რეპეკა: ოდნავ... მიჭერდა... ყელზე, კი. ისე, ნელ-ნელა თავი უკან

რომ გადაშენია, ნელნელა, მაგრამ მაინც.

დევილინი: ტანი? ტანი რას შერებოდა მაგ დროს?

რეპეკა: ტანიც... ტანითაც უკან ვიხრებოდი, მთელი ტანით, ნელნელა.

დევილინი: და რა, ფეხებსაც შლიდი?

რეპეკა: ხო.

პაუზა.

დევილინი: შლიდი?

რეპეკა: კი.

სიჩუმე.

დევილინი: გრძნობ, ჰიპნოზი რომ გაგიკეთეს?

რეპეკა: როდის?

დევილინი: ახლა.

რეპეკა: ვერა.

დევილინი: მართლა?

რეპეკა: ვერა.

დევილინი: რატომ?

რეპეკა: ვინ?

დევილინი: მე.

რეპეკა: შენ?

დევილინი: არ გჯერა?

რეპეკა: მჯერა, რომ შენც კარგი ლორი ხარ.

დევილინი: მე ვარ ლორი? მე! ხუმრობ ალბათ.

რეპეკა იღიმება.

რეპეკა: ვხუმრობ? მე კი არა, შენ ხუმრობ.

პაუზა.

დევილინი: ვერ ხედები, რატომ გეკითხები? შენი თავი წარმოიდგინე

ჩემს ადგილას. იძულებული ვარ გეკითხო. ამდენი რამე არ ვიცი. საერთოდ არაფერი არ ვიცი... მაგ ამბებზე. არაფერი. სიბნელეში დაებორიალ-ობ. სინათლე მჭირდება. თუ, უფლება არა მაქვს გეკითხო?

პაუზა.

რეპეკა: რა უნდა მკითხო?

პაუზა.

დევილინი: მისმინე. ჩემთვის დიდი მნიშვნელობა აქვს, იქნებ მოახერხო და უფრო ნათლად ამინერო.

რეპეკა: ის? რას ნიშნავს, აგინერო?

დევილინი: ფიზიკურად. რა ვიცი, სინამდვილეში როგორია. როგორ გამოიყურება. ვერ ხედები? სიგრძე, სიგანე... მაგას ნიშნავს. რამსისქეა, რამსიმალე. ხასიათზე არ გეკითხები, ხასიათი არ მაინტერესებს... იმისი ბუნება... არც სულიერი... ნყობა... უბრალოდ მინდა, როგორ გითხრა, მა-

თლა მჭირდება... გარეგნულად წარმოვიდგინო... ნათლად... ნათლად კი... პრინციპში, უბრალოდ... იმიტომ რომ წარმოდგენა არა მაქვს... არ ვიცი, რა ხდება... ან როგორია. როგორი იყო? ამინერე, არ შეგიძლია? უფრო... კონკრეტულად დამიხატე... მეც რომ დავინახო. აბა, მართო ხე-ლებზე ლაპარაკობ, ერთი ხელი სახეზე, მეორე კისერზე, მერე ხელს ყე-ლი გიჭერს... ხელები და ხელები... ხელების გარდა სხვა რამეც ხომ ექ-მობდა? მაგალითად, თვალები? თვალები ჰქონდა?

რეპეკა: რა ფერის თვალები ჰქონდა?

პაუზა.

დევილინი: ზუსტად, ზუსტად მაგას გეკითხები... ძვირფასო.

რეპეკა: რა უცნაურია, ძვირფასოს რომ გეტყვის ვილაც. ჩემთვის

არც უთქვამს არავის. საყვარლის გარდა.

დევილინი: ვერ დავიჯერებ.

რეპეკა: რას ვერ დაიჯერებ?

დევილინი: ძვირფასო არავის უთქვამსო.

პაუზა.

- არც ამ სიტყვის თქმის უფლება მაქვს?

რეპეკა: რა სიტყვის?

დევილინი: "ძვირფასო".

რეპეკა: ხო, ძვირფასოო, მითხარი. სასაცილოა.

დევილინი: სასაცილოა? რატომ?

რეპეკა: როგორ, რატომ? მე რა ძვირფასი ვარ შენთვის.

დევილინი: ხარ.

რეპეკა: არც მინდა ვიყო. ყველაფერზე მეტად ეგ არ მინდა. არავის

ძვირფასი მე არა ვარ.

დევილინი: სიმღერაცაა ეგეთი.

რეპეკა: რა სიმღერა?

დევილინი: "არავის ბავშვი აღარა ვარ".

რეპეკა: მაგ სიმღერას "არავის ბავშვი აღარა ხარ" ქვია. თანაც, მე

ბავშვი არ მიხსენებია.

პაუზა.

- ვერ გეტყვი, როგორი იყო.

დევილინი: დაგავიწყდა?

რეპეკა: არა. არ დამვიწყებია. ეგ რა შუაშია. მნიშვნელობაც აღარა

აქვს, რამდენი ხანია რაც წავიდა.

დევილინი: წავიდა? სად წავიდა?

რეპეკა: საქმე ჰქონდა ეგეთი. სამსახური.

დევილინი: რა სამსახური?

რეპეკა: რა მითხარი?

დევილინი: რა სამსახური ჰქონდა? სად მუშაობდა?

რეპეკა: მე მგონი, ტურისტულ სააგენტოში. აგენტო იყო, თუ რაღაც

ეგეთი. არა. არა, აგენტო არა. სააგენტოში შეთავსებით მუშაობდა. ისე

დიდი თანამდებობა ეკავა, მართლა. ძალიან საპასუხისმგებლო.

პაუზა.

დეკლინი: მაინც, რა სააგენტო იყო?

რეპეკა: ტურისტული.

დეკლინი: და რას აკეთებდა იქ?

რეპეკა: გიდი იყო. გიდი ხომ იცი.

დეკლინი: ტურისტებს დაყვებოდა?

პაუზა.

რეპეკა: შენთვის არ მომიყოლია... ერთხელ სად... წამიყვანა?

დეკლინი: სად?

რეპეკა: ნამდვილად მოყოლილი მაქვს.

დეკლინი: არა მეთქი. არაფერი გითქვამს.

რეპეკა: უცნაურია. შემიძლია დაგიფიქრო. მოგიყევი.

დეკლინი: არც არაფერი გითქვამს და არც არაფერი მოგიყოლია, დღემდე საერთოდ არც გიხსენებია. სიტყვაც არ დაგცდენია.

პაუზა.

- სად წაგიყვანა?

რეპეკა: ქარხანასავით იყო რაღაც, მე მგონი.

დეკლინი: რას ქვია, ქარხანასავით? ქარხანა იყო, თუ არ იყო ქარხანა? თუ იყო, რის ქარხანა იყო?

რეპეკა: რა ვიცი, რაღაცეებს აკეთებდნენ - როგორც ყველა ქარხანაში. თუმცა, ჩვეულებრივ ქარხანასაც არ გავდა.

დეკლინი: რატომ?

რეპეკა: ყველას ქუდი ეხურა... მუშებს... ნაჭრის რბილი ქუდეები... შევედი თუ არა, მაშინვე ყველამ შოიშვლია. წინ მიმიძლოდა, გზას მიჩვენებდა, გრძელ დერეფანში მივდიოდით, აქეთ-იქით, ორივე კედელთან მუშები იყვნენ ჩამწკრივებული.

დეკლინი: და ქუდს გიხდიდნენ? რა, მონინებით გესალმებოდნენ?

რეპეკა: ხო.

დეკლინი: რატომ?

რეპეკა: ძალიან დიდ პატივს მცემენო, ასე ამიხსნა.

დეკლინი: რატომო?

რეპეკა: იმიტომ, რომ მართლა სეროიზულ საქმეს აკეთებდა. და ყველა ბრმად ენდობოდა. პატივს სცემდა... პატიოსნებისთვის, განსაკუთრებული ღირსებებისთვის. ერთი იმისი სიტყვა და ციკაბო კლდიდან ზღვაში გადაცვივდებოდნენ. სულ სიმღერ-სიმღერით გადაეშვებოდა წყალში, ამბობდა. ძალიან მუსიკალურები ყოფილან თურმე, ასე ამიხსნა.

დეკლინი: შენ როგორ მიგიღეს?

რეპეკა: მე? გადასარევად. ყველას ვულიმოდი და ისინიც ღიმილით მპასუხობდნენ.

პაუზა.

- ოღონდ ერთი არ მომენონა - ნესტი. საშინლად ნესტიანი ადგილი იყო.

დეკლინი: და იქაურობის შესაფერისად არ ეცვათ?

რეპეკა: არა.

პაუზა.

დეკლინი: ტურისტულ სააგენტოში მუშაობდაო, არა? ასე არ მითხარი?

რეპეკა: და ერთიც იყო კიდეც. აბაზანაში მიწოდდა შესვლა და ვერა-ერთი მივაგენი. სად არ ვეძებე. დარწმუნებული ვარ, იქნებოდა, არადა იქ ვიპოვე.

პაუზა.

- ტურისტულ სააგენტოშიც მუშაობდა. გიდად. იქაურ სადგურში მიდიოდა ხოლმე ხშირად, ბაქანზე დასეირნობდა და აკივლებულ დედებს ჩვილ ბავშვებს სტაცებდა ხელიდან.

პაუზა.

დეკლინი: მართლა?

სირუშე.

რეპეკა: რაღაც ძალიან ავფორიაქდი.

დეკლინი: აფორიაქდი? რამ აგაფორიაქა?

რეპეკა: პოლიციის სირენამ. ორი წუთის წინ. შენ არ გესმოდა?

დეკლინი: სირენამ?

რეპეკა: ვერ გაიგონე? გამორიცხულია, ორი წუთის წინ?

დეკლინი: მერე რა?

რეპეკა: არაფერი. ამაფორიაქა.

პაუზა.

- ძალიან ამაფორიაქა.

პაუზა.

- მიზეზი არ გაინტერესებს? მაინც გეტყვი. სხვას ვის ვეტყვი, შენ თუ არ გითხარი? აუცილებლად გეტყვი. თან მართლა ძალიან იმოქმედა, მომშალა... იცი... აქ რომ მიწყდა, ვიცოდი რომ ვიღაცას უახლოვდებოდა, სადღაც, ვიღაცისთვის სულ უფრო და უფრო ძლიერდებოდა.

დეკლინი: მაგით რისი თქმა გინდა, რომ სირენის ბმა სადღაც, ვიღაცას ყოველთვის ესმის? მაგას ამბობ?

რეპეკა: ხო. ყოველთვის, სულ. სამუდამოდ.

დეკლინი: და ეგ გამშვიდებს?

რეპეკა: არა! პირიქით, ეგ მაფორიაქებს. მშლის.

დეკლინი: რატომ?

რეპეკა: ვერ ვიტან როცა ეს ხმა სადღაც შორს წყდება. ვერც ექოს ვიტან. ვერ ვიტან როცა საერთოდ აღარ მესმის. როცა იკარგება. ვიღაც სხვისი ხდება. მინდა სულ ჩემი იყოს, ყოველთვის. გადასარევი ხმაა. არ შეთანხმებ?

დეკლინი: მაგაზე არ ინერვიულო, ეგ ხმა არსად დაგეკარგება. ცოტა მოიცადე და ისევ გაიგონებ. დაშიჯერე. ძალიან მალე. წუთში.

რეპეკა: რა იცი?

დეკლინი: ნახავ. პოლიციელები საქმიანი ხალხია. იმდენი რამე აქვთ მისახედი, სათვალთვლო. სულ გამოძახებაზე არიან, სულ მოძრაობენ. წუთი მოცლა არ არის მაგათთვის, ყველა კუნტულა უნდა აკონტროლონ და დაქრიან თავიანთი მანქანებით, სირენებიც ჩართული აქვთ. შენ მშვი-

დად იყავი, ნერვიულობის მიზეზს არ მოგცემენ. შევთანხმდით? არც მარტო დარჩები. პოლიციის სირენა მარტო არ დაგტოვებს. პირობას გაძღვე პაუზა.

- მისმინე. აი, ის კაცი, ვიზუც ახლა მელაპარაკებოდი... ვიზუც შე და შენ ვლაპარაკობდით... ვსაუბრობდით... მოკლედ, როდის გაიცანი? როდის იყო ეგ ამბავი? რაღაც... როგორ გითხრა... ნესიერად ვერ გავერკვივ ჩემამდე იყო, თუ ჩვენი შეხვედრის მერე? ამას ჩემთვის მნიშვნელობა აქვს, იმედია გამიგებ.

რეპეტი: სხვათა შორის, სიგიჟემდე მინდოდა შენთვის რაღაცის თქმა. დევლინი: რა?

რეპეტი: რაღაცას ვწერდი. რაღაცას კი არა... შენც იცი... სიას, სამრეცხაოსთვის. მოკლედ, კალმისტარი ჩვენს პატარა ყავის მაგიდაზე დაედ, ის კიდე მაგიდიდან გადაგორდა.

დევლინი: მართლა?

რეპეტი: ვადაგორდა და ხალიჩაზე დაეცა. ჩემი თვალით ვხედავდი.

დევლინი: ღმერთო დიდებული.

რეპეტი: აი, ეს კალმისტარი, ჩემი სრულიად უდანაშაულო სანერი კალმა.

დევლინი: რა იცი, რომ უდანაშაულოა?

რეპეტი: რატომ არ ვიცი?

დევლინი: რატომ და, არ იცი ადრე სად იყო. რამდენ უცხო ხელში გამოიარა, ვინ რა წერა მაგით, რა ხალხში ჰქონდა საქმე. არაფერი არ იცი, არც მაგის ამბავი, არც მაგის მშობლების.

რეპეტი: კალმისტარს მშობლები არა ჰყავს.

პაუზა.

დევლინი: რანაირად შეგიძლია იჯდე და ასე ილაპარაკო.

რეპეტი: ასე ჯდომა შემიძლია.

დევლინი: არ შეიძლება. არც ეგრე ჯდომა და არც ეგეთი ლაპარაკი. რეპეტი: შენ რა, არ გჯერა, რომ აქ ჯდომის უფლება მაქვს? ამ სავარძელში, ამ სახლში, სადაც ვცხოვრობ? რას ამბობ, არა მაქვს ამის უფლება?

დევლინი: მე იმას ვამბობ, რომ არც ამ და არც რომელიმე სხვა სავარძელში ჯდომის და მასეთი ლაპარაკის უფლება არა მაქვს. და სულერთია, ცხოვრობ ამ სახლში, თუ არა.

რეპეტი: როგორი ლაპარაკის უფლება არა მაქვს?

დევლინი: როგორი და, კალმისტარი უდანაშაულო იყო.

რეპეტი: შენი აზრით, დამნაშავე იყო?

სიჩუმე.

დევლინი: გაგიჟებ. ვერ ხვდები? გაბნეე. ან, სინამდვილეში, შეიძლება საკუთარ თავს ვაბნეე. ეს კი საშიშია. მატყობ? მინა მეცლება ფეხქვეშ.

რეპეტი: როგორც ღმერთს.

დევლინი: ღმერთს? ღმერთს? შენ გგონია, ღმერთს ფეხქვეშ მინა ეცლება? აი, ეს უკვე მართლა უკუღმართი აღქმაა. აღქმა თუ საერთოდ სწორი სიტყვაა ამ შემთხვევაში. ღმერთის ხსენებისას ფრთხილად იყავი.

ის ერთადერთი ღმერთია, რომელიც გყავს. ერთხელ თუ გაუშვი, წავა და აღარც დაბრუნდება. უკანაც აღარ მოიხედავს. მერე რა გინდა ქნა? იცი, რანაირი სიცარიელე დარჩება? წარმოიდგინე, "უემბლიზე" ინგლისი და ბრანზილია თამაშობენ და ტრიბუნებზე კაციშვილის ჭაჭანება არ არის. შეგიძლია წარმოიდგინა? ორი ტაიმი ცარიელ სტადიონზე. საუკუნის მატჩი სრულ სიჩუმეში. არცერთი მაყურებელი. აბსოლუტური მდუმარება. მარტო მსაჯის სასტვენის ხმა ისმის და, შიგადაშიგ, ფეხბურთელების გინება. ღმერთს თუ ზურგი შეაქციე, ეს იმას ნიშნავს, რომ დიდებული და კეთილშობილი თამაში, ფეხბურთი, სამუდამოდ დაკინწყებას მიეცემა. არც არანაირი ანგარიში იქნება, გინდა ათასჯერ დანიშნე დამატებითო დრო, არავითარი შედეგი დროის უსასრულობაში, უსასრულო დროში. სრული არაფერი. ჩიხი. პატი. დამბლა. სამყარო გამარჯვებულის გარეშე.

პაუზა.

- იმედია, ხედავ რა შემზარავი სურათი დაიხატა.

პაუზა.

- ერთ რამესაც გეტყვი. წელან... როგორ ვთქვა... ცოტა არ იყოს ირიბად მიმანიშნე შენ მეგობარზე... საყვარელზე... არა? ჩვილი ბავშვებო, დედებო, სადგურის ბაქანიო. მე როგორც გაგივ, რაღაც სიმხეტვებზე იყო ლაპარაკი, ძალადობაზე. თუ ნებას მომცემ, მეც გკითხავ - როგორ გგონია, შენ თვითონ, რა უფლების ძალით შეგიძლია ამ სისასტიკის და ძალადობის განსჯა?

რეპეტი: არანაირი უფლების. და საერთოდ, მე არც არაფერი მომსვლია. არც მე და არც ჩემს რომელიმე მეგობარს. არც ძალადობის მსხვერპლი ვყოფილვარ როდისმე. არც ჩემი მეგობრები.

დევლინი: კარგი.

პაუზა.

- გინდა, უფრო გულაზდილად ვისაუბროთ? მოდი, უფრო პირადულზე ვილაპარაკოთ, ინტიმურზე, რაშიც უშუალო გამოცდილება დაგვეხმარება. აი, მაგალითად, როცა სალონში მიდიხარ და პარიკმახერი - მამაკაცი, რა თქმა უნდა, - თმაზე გეხება, თავს გაბანს და მასაჟსაც გიკეთებს ნახადად, იმ დროს, თვალდახუჭული, ხომ ბოლომდე ენდობი? ბრმა? სწორი ვარ? მარტო თმას კი არ ანდობ, რომელსაც ეხება, ან თავს, მთლიანად ენდობ, სიცოცხლესაც ანდობ, შენ სულიერ... კეთილდღეობასაც.

პაუზა.

- მოკლედ, იცი რა მიანტერესებს?.. საყვარელი ყელზე ხელს რომ გიჭერდა, პარიკმახერი გახსენდებოდა?

პაუზა.

- შენ საყვარელზე გეუბნები. იმ კაცზე, მოკვლას ვინც ვიპირებდა.

რეპეტი: მოკვლას ვიპირებდა?

დევლინი: სიკვდილით დასჯას, წამებით.

რეპეტი: არა, არა. მოკვლას არ ვიპირებდა. არც უფიქრია.

დევლინი: გახრჩობდა, ყელში ხელს გიჭერდა. აბა, რა უნდოდა? თვითონ ყვები. ეგრე არ იყო?

რეპეტი: არა, არა. მითანაგრძნობდა. მალმერთებდა.

პაუზა.

დეველინი: სახელი არ ერქვა იმ კაცს? უცხოელი იყო? მე სად ვიყავი მაშინ? რა გინდა, რას უნდა მივხედო? მილალატე? ბოლომდე რატომ არ მენდობი? გულახდილად რატომ არ ამბობ ყველაფერს? იცი, როგორ მოგეშვება. მართლა. ვითომ შენი მოძღვარი ვარ. შეგიძლია გამომცადო და დარწმუნდე ჩემს დიდსულოვნებაში. მთელი ცხოვრება დიდსულოვნების დამტკიცებას ვცდილობდი. ნუ დამაკარგინებ ამ შანსს. ან, შეიძლება ყველაფერი ჩემამდე იყო. მაშინ არანაირად არა ხარ ვალდებული, საერთოდ რამე მომიყვე. შენი წარსული ჩემი საქმე არ არის. შენთან ჩემს წარსულზე ლაპარაკი აზრადაც არ მომივა. არც ვიფიქრებ. თუმცა, წარსული არც მქონია. როცა მეცნიერის ცხოვრებით ცხოვრობ, უფლებასაც არ აძლევ თავს სისულელეებზე მოცდე, ხომ ხვდები, პატარ-პატარა ეშმაკობებზე, წერილმან სიამოვნებებზე... შენი გონება სხვას უტრიალებს, ამიტომ, მთავარია, სახლის პატრონი ქალი გამოდგეს ყურადღებიანი, ღამის თერთმეტ საათზეც არ დაგამადლოს ბეკონი და კვერცხი, ძალიან თუ მოგშივდა მუშაობისას... ლოგინი კარგად გამოთარი იყოს, მზე დროულად ამოვიდეს, სუპს მარალი არ აკლდეს... მხოლოდ ხანდახან, ათასში ერთხელ, შეიძლება გავაზე მოუთათუნო იმ შენს დიასახლისს, თუკი არსებობს საერთოდ - გავა კი არა, დიასახლისი, - ოლონდ, ცხადია, თუ უცოლო ხარ. თუ ცოლი გყავს, გონებაც, ფიქრიც და აზრიც თავის გზით მიდის, თავის გზას ნახულობს და შენც ნებაზე უშვებ. ყველაზე მაგრად რომ ითვლება, ის კაციც ვერ გაჯობებს მაგ დროს. არ აჯობინებ. გავკარი ყველაზე მაგრებს - აი, ჩემი საყვარელი გამოთქმა. ჩარგავენ თავს მხრებში და აწვებიან ცხოვრებას, არც ქარს ეპუებიან, არც წვიმას - ბოლოს მაინც აღწევენ მიზანს. გულიც ერჩით და შნოც მოსდევთ.

პაუზა.

- ფეხებზე კიდათ ყველაფერი.

- და მოვალეობის გრძნობას არასდროს ღალატობენ.

პაუზა.

- სხვათა შორის, ამ ორ განცხადებას შორის არავითარი წინააღმდეგობა არ არსებობს. დამიჯერე.

პაუზა.

- მისმენ, თუ ჩაგეძინა?

რეპეტი: არა, რალაცის მოყოლა მინდოდა შენთვის. უცნაური ამბავი იყო. ბალის ფანჯრიდან გავიხედე, ფანჯრიდან გავიხედე ბაღში, ზაფხულში, დორსეთში, გახსოვს? თუმცა არა, შენ იქ არ ყოფილხარ. მე მგონი, საერთოდ მარტო ვიყავი. კი. სულ მარტო. მარტომარტო. ფანჯრიდან ვიყურები და ვხედავ, ვილაცები ტყეში შედიან. ზღვისკენ მიდიოდნენ, ზღვის მიმართულებით. ეტყობა ძალიან სციოდათ, პალტოები ეცვათ, არადა გადასარევი დღე იყო, თბილი, წყნარი, ნამდვილი დორსეთული. ხელში ჩანთები ეჭირათ. ისინიც მიყვებოდნენ... გიდეები... მიაცილებდნენ, გზას უჩვენებდნენ. ტყეში აღარ ჩანდნენ, მერე ისევ გამოჩნდნენ, უკვე

შორს, მთის წვერზე. იქიდან ზღვისკენ დაეშვნენ და ისევ დამეკარგნენ. ძალიან დავინტერესდი და ზევით ავედი, იქიდან გავიხედე. ხეები კი მიშლიდა, მაგრამ ზღვის ნაპირი მაინც ჩანდა. გიდეები... უკვე ნაპირზე მიაცილებდნენ... წყლისკენ. ისეთი კარგი დღე იყო. წყნარი. და მზიანი. დავინახე, როგორ შევიდნენ წყალში. ნელნელა ფარავდნენ ტალღები. ჩანთები ტალღებზე ტივტივებდნენ.

დეველინი: როდის მოხდა ეგ ამბავი? დორსეთში როდის ცხოვრობდი? მე დორსეთში არ მიცხოვრია.

პაუზა.

რეპეტი: ხო, მართლა, იმ დღეს მითხრა ვილაცამ, თურმე არსებობს ასეთი მდგომარეობა, წარმოსახვითი ელემენტარისისი, სპილოს დაავადება, ოლონდ წარმოსახვითი.

დეველინი: ვინ ვილაცამ? რომელ დღეს? როდის?

რეპეტი: თურმე რა ხდება მაგ დროს - საკმარისია, მაგალითად, ერთი წვეთი ქონი დაგექცეს და წვეთი მაშინვე ქონის ზღვად გადაიქცევა, შენც ქონის ზღვაში ამოყოფ თავს და ამ სიბლანტეში იღრჩობი. საშინელებაა. მაგრამ თან შენი ბრალია ყველაფერი! შეგანვე გჭირს, რაც გჭირს. მსხვერპლი კი არა, მიზეზი ხარ. თავიდან შენ არ დაგექცა ის წვეთი? ფუთაც შენ მიეცი შენივე ხელითა.

პაუზა.

დეველინი: რა მიეცი შენი ხელით?

რეპეტი: ფუთა.

პაუზა.

დეველინი: რა არის საკითხის არსი? მზად ხარ საკუთარ ქონში ჩაიხრჩო? თუ მზად ხარ სამშობლოსათვის განირო თავი? მისმინე, საყვარელო. რისი თქმა გინდა? მოდი, იქნებ ჩავსხედეთ მანქანაში, ქალაქი წავიდეთ, რამე ფილმი ვნახოთ?

რეპეტი: რა უცნაურია, ერთხელ, სიზმარში... დიდი ხნის წინ... ვილაც მეძახდა, საყვარელო.

პაუზა.

- მივიხედ-მოვიხედე. სიზმარში. არ ვიცი, სიზმარში მივიხედ-მოვიხედე, თუ თვალი გავახილე. მაგრამ ხმა სიზმარში მეძახდა. ამაში დარწმუნებული ვარ. ნამდვილად მე მეძახდა. საყვარელო.

პაუზა.

- კი.

პაუზა.

- გაყინულ ქალაქში გამოვედი. ტალახიც კი გაყინული იყო. თოვლსაც უცნაური ფერი ჰქონდა. არა, თეთრი კი იყო, მაგრამ სხვა ფერებიც ერია. თითქოს ძარღვებთან იყო დაღარული. არც ჩვეულებრივი თოვლივით გლუვი იყო, როგორც უნდა იყოს თოვლი. უსწორმასწორო იყო, ხორკლიანი. სადგურში რომ მივედი, მატარებელი დავინახე. სხვებიც იყვნენ, ვილაცები.

პაუზა.

- მერე ჩემი საუკეთესო მეგობარიც დავინახე, კაცი, ვისაც ჩემი გული

ეკუთვნოდა, ვინც პირველივე წუთიდან, პირველი ნახვისთანავე ჩემად ვაღიარე, ჩემთვის უძვირფასეს, ყველაზე სასურველ ადამიანად. ვხედავდი როგორ დადიოდა ბაქანზე და აკივლებულ დედეებს ჩვილ ბავშვებს სტატებდა ხელიდან.

სიჩუმე.

დეველინი: კიმი და ბავშვები ნახე?

რებეკა უაზროდ უყურებს.

- დღეს კიმის და ბავშვების ნახვას აპირებდი.

რებეკა თვალს არ აშორებს.

- შენი დის, კიმის, და იმის შვილებს.

რებეკა: ა, კიმის! და ბავშვების, ხო. კი. კი, რა თქმა უნდა, ვნახე. ჩაიც დავლიეთ. არ მითქვამს?

დეველინი: არა.

რებეკა: ვნახე, აბა რა?!

პაუზა.

დეველინი: როგორ არიან?

რებეკა: ბენი უკვე ლაპარაკობს.

დეველინი: სერიოზულად? რაო, რას ამბობს?

რებეკა: რა ვიცი, "მე მქვია ბენი", და იგეთ რალაცეებს. "დედას ქვია დედა". გაუთავებლად ტიტინებს.

დეველინი: ბეტსი?

რებეკა: ბეტსი დახობავს.

დეველინი: მართლა ამბობ?

რებეკა: მალე სიარულსაც დაიწყებს, თვალის დახამხამებასაც ვერ მოვასწრებთ. მართლა.

დეველინი: ალბათ ლაპარაკობს კიდევ, არ ამბობს, "მე მქვია ბეტსი"ო?

რებეკა: კი, რა თქმა უნდა, ვნახე. ჩაი დავლიეთ. მაგრამ... ჩემი სანყალი და მეცოდება. ძალიან მეცოდება... რა ქნას, არ იცის.

დეველინი: რა იყო?

რებეკა: დაბრუნება ნდომებია... იმას... თურმე ყოველ დღე რეკავს და მაპატიეო, ეხვეწება. აღარ შემიძლიაო, იმ გოგოს თავი დავანებეო, სულ მართო ვარო, იმასთან ყველაფერი დამთავრდაო.

დეველინი: მართალს ამბობს?

რებეკა: თვითონ იფიცება... ბავშვები მენატრებიანო.

პაუზა.

დეველინი: ცოლი არ ენატრება?

რებეკა: იმასთან დამთავრდა ყველაფერიო, სერიოზული არც არასდროს ყოფილა რამე, ურალო სექსის გარდაო. ხომ გესმის?

დეველინი: გასაგებია.

პაუზა.

- კიმი რას ამბობს?

პაუზა.

- რაო?

რებეკა: კიმი არ აპატიებს. მაგასთან ველარ ვიცხოვრებო. ველარას-

ქროსო. ცოცხალი თავითო.

დეველინი: რატომო?

რებეკა: გამორიცხულიაო.

დეველინი: კი, მაგრამ, რატომო?

რებეკა: ვნახე კიმი და ბავშვები, აბა რა?! ჩაი დავლიე იმათთან. რა-

ტომ მკითხე? შენ გგონია, არ მინახავს?

დეველინი: არა. უბრალოდ, არ ვიცოდი. კი მითხარი, ნახვას რომ აპი-

რებდი... ჩაიზე დამპატიეო.

რებეკა: დავლიე კიდევ! რატომ არ უნდა დამელია? დაა ბოლოსდა-

ბოლოს.

პაუზა.

- აბა გამოიცანი, მერე სად წავედი. კიხოში. ფილმი ვნახე.

დეველინი: მართლა? რა ფილმი?

რებეკა: კომედია.

დეველინი: ოჰო! ბევრი იცინე? სასაცილო იყო?

რებეკა: სხვებმა იცინეს. სხვა მაყურებლებმა. სასაცილო იყო.

დეველინი: ოლონდ, შენ არ გიცინია?

რებეკა: სხვები იცინოდნენ. კომედია იყო. ერთ გოგოზე... და კაცზე.

მდიდრულ რესტორანში სადილობდნენ, ნიუ-იორკში. კაცი სულ აცინებდა.

დეველინი: როგორ?

რებეკა: რა ვიცი... სასაცილო ამბებს უყვებოდა.

დეველინი: გასაგებია.

რებეკა: მერე უდაბნოში წავიდნენ, ექსპედიციაში, აქლემებით. ვოგო

პირველად იყო უდაბნოში და კაცი რალაცეებს უხსნიდა, ასწავლიდა.

პაუზა.

დეველინი: მოსასმენად ძალიან სასაცილოა.

რებეკა: ოლონდ, წინა რიგში ერთი კაცი იჯდა, ჩემგან ცოტა მარჯვე-

ნივ. მთელი ფილმი არ განძრეულა, ერთხელ არ შერხეულა, მკვდარივით

იდო, გაშვებული, არც გაუცინია, გვაშივით იყო გახევებული. ავდექი და

გადავჯექი, რაც შემქმლო შორს.

სიჩუმე.

დეველინი: ეხლა მოიცა, მოდი თავიდან დავიწყეთ. ჩვენ, მე და შენ, აქ

ცხოვრობთ. შენ დორსეთში... არ ცხოვრობ... არც სადმე სხვაგან. აქ

ცხოვრობ, ჩემთან ერთად. ეს ჩვენი სახლია. გყავს შესანიშნავი და. ისიც

ახლოს ცხოვრობს. იმას ორი პატარა, საყვარელი ბავშვი ყავს. შენ იმათი

დეიდა ხარ. და ეს ამბავი ძალიან გიხარია.

პაუზა.

- გაქვს ფანტასტიური ბალი. შენი ბალი ძალიან გიყვარს. ყველაფერი

საკუთარი ხელით გააკეთე. მართლა ჯადოსნური ხელები გაქვს. და თან

ძალიან ლამაზი.

პაუზა.

- გესმის, რას გეუბნები? ამ წუთას კომპლიმენტი გითხარი. სინამდვილეში, რამდენიმე კომპლიმენტი. მოდი, ისევ თავიდან დავიწყოთ. ერთხელაც.

რამბაქა: არა მგონია, მე და შენ თავიდან დაწყება შეგვიძლოს. ჩვენ... დიდი ხნის წინ დავიწყეთ. უკვე დიდი ხნის წინ. ერთხელაც ველარ დავიწყებთ. ჩვენ შეგვიძლია, ერთხელაც დავსვით წერტილი.

დევილინი: კი, მაგრამ, ადრე როდის დავსვით?

რამბაქა: კი, როგორ არა. ბევრჯერ, ერთხელ და ორჯერ კი არა. და კიდევ შეგვიძლია. კიდევ, კიდევ და კიდევ. უამრავჯერ.

დევილინი: მე მგონი, წერტილის დასმა შენ ცოტა სხვანაირად გესმის. არა? წერტილის დასმა დასასრულს ნიშნავს. არ შეიძლება რაღაც კიდევ და კიდევ დასრულდეს. ერთხელ დასრულდება და მორჩა.

რამბაქა: არა. შეიძლება ერთხელ დასვა წერტილი და მერე კიდევ და კიდევ.

სიჩუმი.

(ჩუმად მღერის) "მტვერი მტვრადვე მიიქცევი"-

დევილინი: "ქარი წაგიღებს".

რამბაქა: "ქალის გულს თუ ვერ მოიგებ"-

დევილინი: "ღვინო გაგიგებს".

პაუზა.

- ყოველთვის ვიცოდი რომ გიყვარდი.

რამბაქა: რა იცოდი?

დევილინი: ერთი და იგივე სიმღერები გვიყვარს და იმიტომ.

სიჩუმი.

- მისმინე.

პაუზა.

- აქამდე რატომ არაფერი მითხარი შენს საყვარელზე? სრული უფლება მაქვს მართლა ძალიან გავბრაზდე. არა? ნამდვილად მაგარი გაბრაზებული უნდა ვიყო. გესმის?

სიჩუმი.

რამბაქა: მართლა, სულ ვაპირებდი მომეყოლა. შუა ქალაქში, ძალიან მაღალი სახლის ბოლო სართულზე, ოთახში ფანჯარასთან ვიდექი. ცა ვარსკვლავებით იყო სავსე. ფარდების დახურვას ვაპირებდი, მაგრამ ცოტა ხნით ფანჯარასთან შევეყოვნი, ვარსკვლავებს ვერ მოვწყვიტე თვალი. მერე ქუჩაშიც გავიხედე. ბებერი კაცი დაფინახე, და პატარა ბიჭი. ქუჩაში მიდიოდნენ. ორივე ჩემოდნებს მიათრევდა. ბიჭი - თავისზე დიდს. ძალიან ნათელი ღამე იყო. ვარსკვლავების წყალობით. კაცი და ბიჭი ქუჩას მიუყვებოდნენ. ხელიხელჩაკიდებულები. ვიფიქრე, ნეტა სად მიდიან მეთქი. ისევ დავაპირე ფარდების დახურვა და უცებ ქალიც გამოჩნდა, ისიც იმათ მიყვებოდა უკან, ხელში ბავშვი ეჭირა.

პაუზა.

- გითხარი, ქუჩა რომ მოყინული იყო? მოყინული იყო. ქალიც ძალიან ფრთხილობდა. ფეხი არ დამიცდესო. ვარსკვლავებიც ჩაქრა. იქამდე მიყ-

ვებოდა კაცს და ბიჭს, სანამ იმათ ქუჩის კუთხეში არ შეუხვიეს და თვალს არ მიეფარნენ.

პაუზა.

- მერე გაჩერდა. გაუნძრევლად იდგა. მერე ბავშვს აკოცა. გოგო იყო. პაუზა.

- აკოცა.

პაუზა.

- იმის გულისცემას უსმენდა. ბავშვს გული უცემდა.

ოთახში თანდათან ბნელდება. ლამპების მუქი ძლიერდება.

რებეკა გაუნძრევლად ზის.

- ბავშვი სუნთქავდა.

პაუზა.

- ჩავიხუტე. სუნთქავდა. გული უცემდა.

დევილინი რებეკას მიუახლოვდება. თავზე დაადგება და ზემოდან დას-

ცქერის.

მუშტს შეკრავს და რებეკას სახესთან მიუღებენ.

მარცხენა ხელს კისერზე დაადებს და მოუჭერს. მერე თავს მუშტისკენ დაახრევენებს. რებეკა ტუჩებით ეხება დევილინის მუშტს.

დევილინი: აკოცე.

რებეკა არ ინძრევა.

დევილინი მუშტს გაშლის და ხელისგულს პირზე ააფარებს.

რებეკა არ ინძრევა.

დევილინი: მელაპარაკე. მითხარი - კისერზე მომიკიდე ხელი-თქო.

რებეკა ხმას არ იღებს.

- მთხოვე, ყელზე ხელი მომიჭირე-თქო.

რებეკა ხმას არ იღებს, არც ინძრევა.

დევილინი ყელზე უჭერს ხელს. მსუბუქად. რებეკას თავი უკან უფარდება.

არცერთი არ ინძრევა.

მერე რებეკა ლაპარაკს იწყებს. მის ნათქვამს ექო იმეორებს.

რამბაქა: მათარებლებთან მიგვიყვანეს.

ქმ: მიგვიყვანეს.

დევილინი რებეკას ხელს უშვებს.

რამბაქა: ბავშვებს გვართმევდნენ.

ქმ: გვართმევდნენ.

პაუზა.

რამბაქა: ბავშვი ავიყვანე და თავმალში გავახვიე.

ქმ: გავახვიე.

რამბაქა: ფუთასავით შეეკარი.

ქმ: შეეკარი.

რამბაქა: ილღიაში ამოვიჩარე.

ქმ: ამოვიჩარე.

პაუზა.

რამბაქა: ასე გავაგრძელე გზა.

ქმ: გზა.

პაუზა.

რეპეტი: მაგრამ ბავშვმა ტირილი დაიწყო.

ქმ: დაიწყო.

რეპეტი: კაცმა დამიძახა, გაჩერდით.

ქმ: გაჩერდით.

რეპეტი: რა მიგაქვსო?

ქმ: მიგაქვსო.

რეპეტი: ფუტას წაეტანა.

ქმ: წაეტანა.

რეპეტი: და მეც მივეცი ფუტა.

ქმ: ფუტა.

რეპეტი: მივეცი და დავუტოვე.

ქმ: დავუტოვე.

სიჩუმე.

რეპეტი: და მატარებელში ავედი.

ქმ: ავედი.

რეპეტი: და აქ ჩამოვედი.

ქმ: ჩამოვედი.

რეპეტი: და ნაცნობი ქალი შემხვდა.

ქმ: შემხვდა.

რეპეტი: სად არის შენი ბავშვიო?

ქმ: ბავშვიო.

რეპეტი: რა მოუვიდაო?

ქმ: მოუვიდაო.

რეპეტი: რომელი ბავშვი მეთქი?

ქმ: ბავშვი მეთქი.

რეპეტი: არა მყავს მეთქი ბავშვი.

ქმ: ბავშვი.

რეპეტი: არც არასდროს მყოლია.

ქმ: მყოლია.

პაუზა.

რეპეტი: არ მესმის, რაზე მელაპარაკები მეთქი.

ხანგრძლივი სიჩუმე.

შუქი ქრება.